ლაბირინთი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1 (169) იანვარი 2024 წელი

თამთა ქარდავა

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“

კინოსურათში ქალი გამოყვანილია სუსტ არსებად, რომლისთვისაც ქმარი საყრდენია, რომელმაც ქმარი, თუკი ის არ ურტყამს და ნარკომანი არაა, უნდა დააფასოს და გაიაზროს, რომ ის „ბედნიერია“.

გვ. 2

ონისე ქვაჩაკიძე

კინო სახელად კრისტოფერ ნოლანი

კომპოზიტორი, რომელსაც მეგობარმა მუსიკალური თემის შექმნა სთხოვა, ჰანს ციმერია, მეგობარი კი, რომელმაც იცის, სადაა ფილმის გული, კრისტოფერ ნოლანი, ხოლო ფილმი – „ინტერსტელარი“.

გვ. 3-4

თინათინ პაიჭაძე

კრის მარკერის შემოქმედებითი ცხოვრება და მისი „უმზეონი“

„იმიტომ რომ ვიცი, დრო ყოველთვის დროდ რჩება და ადგილი მხოლოდ ადგილი არ არის“

გვ. 5-6

ნინო ჩირგაძე

დიქტატორები და მათ მიერ შექმნილი რეჟიმები ეკრანზე

კინემატოგრაფია იდეალური და, ვფიქრობ, ყველაზე კარგი საშუალებაა, ილაპარაკო ისეთ თემებზე, რომლებიც საყურადღებოა.

გვ. 6-9

მარიამ ფირცხალავა

ადამიანად ყოფნის სევდა

რთულია გაარკვიო, რომელი უფრო მძიმეა, „ადამიანად ყოფნის სევდა“ თუ „ადამიანად არ ყოფნის სევდა“.

გვ. 10

დუბული

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ქართული დრამაა, რომლის სიუჟეტი თბილისური ოჯახის გარშემო ვითარდება. ფილმის ძირითადი თემა სამი თაობის თანაცხოვრებაა, რომელსაც არაერთი სირთულე და არეულობა მოჰყვება. 2 საათის განმავლობაში ჩვენ ვეცნობით ოჯახურ პრობლემებს, გაუგებრობებს, დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რომლებსაც უფროსი თაობის წარმომადგენლები კიდევ უფრო მწვავედ აკვირდებიან. ყურადღებას გავამახვილებ სტერეოტიპებზე. კინოსურათში ქალი გამოყვანილია სუსტ არსებად, რომლისთვისაც ქმარი საყრდენია, რომელმაც ქმარი, თუკი ის არ ურტყამს და ნარკომანი არაა, უნდა დააფასოს და გაიაზროს, რომ ის „ბედნიერია“. სწორედ ასეთი ბედნიერი ოჯახის შექმნას ცდილობენ პერსონაჟები, დაბრმავებით ცხოვრების გაგრძელებას და მთავარი გმირის - მანანას, სახლში დატოვებას, რადგან არ დაიშალოს „ბედნიერი ოჯახი“. მანანას თვალში საკუთარმა მეუღლემ ღირსება დაკარგა. მივიდა იქამდე, რომ ქალი მას პატივს აღარ ცემს, ლაპარაკის ღირსადაც კი არ თვლის და შორდება. შორდება სახლს, სადაც მისი ადგილი არ არის. ის შევიწროებულია, არ აქვს საკუთარი კარადაც კი, მას აქტიურად უზღუდავენ პირადულ სივრცეს. აღვნიშნავ ფილმში გარდამტეხ ეპიზოდს, რომელმაც მანანას ბიძგი მისცა მიეღო ეს გადაწყვეტილება, ეს არის მისი დიალოგი ერთ-ერთ მოწაფესთან, რომელიც სულ რაღაც 17 წლის ასაკში უკვე განქორწინებულია ქმართან და თვლის, რომ თუ ერთხელ იტყვი „არას“, ისე უნდა თქვა, ფიქრი არ გეტყობოდეს, და შენს სიტყვას ფასი და ძალა ჰქონდეს. ყოველივე ამას ითვალისწინებს მანანა და ხდება ქართველი დამოუკიდებელი, ძლიერი ქალი. ამის შემდეგ კვლავ იჩენს თავს დამკვიდრებული სტერეოტიპები, ოჯახი ნერვიულობს იმაზე, თუ რას იტყვის საზოგადოება მანანას ქმედებაზე, რას ილაპარაკებენ მათ ოჯახზე. განსხვავებულ აზრს კი აქტიურად აფიქსირებენ უმცროსი თაობის წარმომადგენლები. მანანასთვის, შეიძლება ითქვას, ნამდვილად ბედნიერი პერიოდი დადგა. მან დაიწყო ცხოვრება არა ისე როგორც სხვებს, არამედ როგორც თავად სურს. თუმცა მისი, ასე ვთქვათ, იდილია, ინგრევა ქმრის ღალატის ამბის შეცნობისას.

აღვნიშნავ გადაღების ტექნიკასაც, კინოსურათის მსვლელობისას კამერა პერსონაჟებს ოთახებშიც კი დაჰყვება და საკმაოდ ახლოს რჩება მათთან, გვაახლოებს მონაწილეებთან და გვეხმარება მათი განწყობის აღქმაში.

განსხვავებით იმისგან, რომ ქალებს ყოველდღიურად უწევთ საკუთარი თავის დამკვიდრება, მამაკაცებს შეუძლიათ თავი დააღწიონ პრაქტიკულად ყველაფერს, გარდა „კაცობისა“ და სასმლისა. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ქალის ვალდებულებაა თვალი დახუჭოს ყველაფერზე და მაქსიმალურად იზრუნოს ოჯახის შენარჩუნებაზე.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ არ არის უბრალო ისტორია ქალის ემანსიპაციის შესახებ, ეს არის ისტორია ქალებისთვის პიროვნულ და სოციალურ ხაფანგზე, რომელშიც ისინი ეხვევიან. ფილმი გვიჩვენებს, რას ნიშნავს იყო ქალი პატრიარქატულ საზოგადოებაში.

ეს არის საკმაოდ საინტერესო კინოსურათი, თუ კარგად დავაკვირდებით მივხვდებით, რომ ის არა ფილმი, არამედ ჩვენი რეალური ცხოვრებაა.

თამთა ქარდავა

კინო სახელად კრისტოფერ ნოლანი

ერთ მშვენიერ დღეს, ოსკაროსანი კომპოზიტორი მეგობრისგან იღებს წერილს, რომელშიც მოთხრობილია ამბავი მამისა და ვაჟის ურთიერთობაზე, მეგობარი წერილშივე აკონკრეტებს, რომ სჭირდება მუსიკა ამ ისტორიაზე დაყრდნობით. კომპოზიტორი მამაშვილობაზე პატარა მუსიკალურ თემას წერს და მეგობარს უჩვენებს, რომელსაც ეს თემა ძალიან მოსწონს და საიდუმლოს უმხელს: „ფილმი, რომლისთვისაც მუსიკა მინდოდა, არის დიდი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის“. კომპოზიტორს უკვირს, რომ სცოდნოდა, სხვაგვარად იფიქრებდა და სხვა მუსიკალურ თემას შექმნიდა, მეგობარი კი ამშვიდებს და ეუბნება, რომ მან ზუსტად ის გააკეთა, რაც ფილმს სჭირდებოდა, რადგან ესაა ფილმის გული.

კომპოზიტორი, რომელსაც მეგობარმა მუსიკალური თემის შექმნა სთხოვა, ჰანს ციმერია, მეგობარი კი, რომელმაც იცის, სადაა ფილმის გული, კრისტოფერ ნოლანი, ხოლო ფილმი - „ინტერსტელარი“.

ამბების ვიზუალურად თხრობა ბავშვობიდან უყვარდა და მოკლემეტრაჟიან ფილმებს მამის კამერით იღებდა. დღევანდელი გადასახედიდან რომ შევხედოთ, ნოლანი ბავშვობიდანვე ემზადებოდა იმისთვის, რომ საკუთარი სახელი მსოფლიო კინოს ისტორიაში ჩაეწერა.

პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომლითაც კრისტოფერ ნოლანმა მაყურებელთა და კინოკრიტიკოსთა ყურადღება მიიქცია, იყო „ფოლოუინგი“. ფილმი, რომლის მთავარი გმირი იმდენად ეფლობა თვალთვალის საქმეში, რომ თავად ხდება დანაშაულებრივი სამყაროს ნაწილი. უკვე 90-იანი წლების ბოლოდან, შესამჩნევი ხდება კრისტოფერ ნოლანის თამაში მაყურებლის გონებასთან, თამაში, რომელსაც დღემდე აგრძელებს.

შემდეგ იყო „მემენტო“, ასევე ორიგინალური სცენარის მიხედვით. ფილმით გაი პირსი მსოფლიო კინოაუდიტორიამ კიდევ უფრო უკეთ გაიცნო. პერსონაჟი, რომელსაც ის თამაშობს, მეხსიერების სწრაფი დაკარგვის გამო დროსთან თანაარსებობას ვერ ახერხებს და დავიწყებული დროის დანაკლისს ტატუებით ივსებს (აუცილებლად დასამახსოვრებელ ფაქტებს სხეულზე ისვირინგებს). „მემენტოში“ ნოლანი კიდევ უფრო „იხსნება“ და იმისათვის გვამზადებს, რასაც სამომავლოდ აპირებს.

„ინსომნიაში“ ალ პაჩინოსა და რობინ უილიამსის დუეტით ახალ თვალსაწიერს გვიხსნის, თუ რამდენი შეუძლია მას და მასთან ერთად მომუშავე ვარსკვლავური გუნდის კოლაბორაციას. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილები მხოლოდ საჯილდაო ქვებად შეიძლება ჩაითვალოს იმასთან შედარებით, რაც შემდეგ შექმნა.

ბეტმენის ტრილოგიაში პერსონაჟი ახლიდან გამოიგონა და ბეტმენობა შესაძლებლად აქცია. საკუთარ სტუდენტობისდროინდელ უძილობის გამოცდილებაზე „დასაწყისი“ ააგო და სიზმარსა და რეალობას შორის ზღვარი წაშალა, ან ისე გაიფერმკრთალა, რომ შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნევლად აქცია.

და „ინტერსტელარი“. ფილმი კოსმოსში მოგზაურობაზე, მაგრამ ფილმი სახლში დაბრუნებაზე, ოჯახთან შეხვედრის საშინელ მონატრებაზე და მამისა და შვილის მაგნიტურ ურთიერთობაზე. შეუძლებელია ისეთივე ცრემლიანმა არ უყურო, როგორც ფილმის მთავარი გმირია იმედის დაკარგვის სცენაში. „ინტერსტელარი“ უფრო მეტად სახლზეა, ვიდრე მისგან შორს ყოფნაზე, რადგან სახლი ყოველთვის შენთანაა, კოსმოსში კი, წამში შეიძლება წლები გავიდეს.

2017 წელი, ბევრი მიზეზის გამო, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, მეორე მსოფლიო ომზე გადაღებული ფილმების კუთხით, კიდევ უფრო გამორჩეული აღმოჩნდა. ამ წელს ერთი ისტორიული მოვლენის ორი მხარე ვნახეთ - პირველ ნაწილს „უბნელესი საათი“ წარმოადგენდა, რომელშიც გარი ოლდმანი ჩერჩილს თამაშობს და მთავარ მისიად დანკირკის პორტიდან ბრიტანელი სამხედროების უსაფრთხო გამოყვანა აკისრია. მეორე ნაწილი კი, სანაპიროზე ხდება და ეს კრისტოფერ ნოლანის „დანკირკია“. შინაარსისა და

➢ 4 გვ.

სცენარის გარდა, ვიზუალურად უბადლოდ გადმოცემული ისტორია ომის საშინელებას, დიდი ბატალური სცენების გარეშე, ხაფანგში მოქცეული ბრიტანელი ჯარისკაცების პერსპექტივიდან გვაჩვენებს.



დროსა და სივრცესთან თამაშს რეჟისორი „ტენეტშიც“ აგრძელებს, რომელშიც ბოროტების შესაჩერებლად დროში მოგზაურობას იყენებს და ისეთ ჩახლართულ სიუჟეტს გვთავაზობს, რთულია გაკვირვება და აღტაცება დამალო.

„ოპენჰაიმერი“ - მანჰეტენის პროექტის მეთაურის მიერ ატომური ბომბის შექმნის შესახებ. მოლოდინები ამ ფილმის თაობაზე დაანონსებისას გაჩნდა და უკვე ძალიან მოახლოებულ ოსკარების დაჯილდოებაზეც ბევრ ნომინაციაში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ბოლო ათწლეულში ხშირია ფილმები, რომელთა ტრეილერები უკეთესია, ვიდრე თავად ფილმები. სტუდიები მოლოდინებს ყიდიან და ბილეთების წინასწარი გაყიდვებით დანახარჯის თითქმის ნახევარს იღებენ. თუმცა ფილმები ისეთი არ გამოდის, როგორი მოლოდინიც მარკეტოლოგებმა შექმნეს. სწორედ მარკეტინგი და წმინდა ბიზნეს გათვლები გახდა დღეს კინო. სამწუხაროდ, მასში ხელოვნების ასპექტი აღარაა და მხოლოდ ციფრების თამაშად გადაიქცა. სტუდიები, რომლებიც ფილმებს ადრე თავად იღებდნენ, ახლა უკვე მხოლოდ ინვესტორებად დარჩნენ, რომელთათვისაც მთავარი შემოსავალია და აღარაა მნიშვნელოვანი, თუ რა დაბალი ხარისხის ფილმებს აწოდებენ მაყურებელს. თუმცა, ხელოვნება მხოლოდ ფული არაა, ეს არის გამოცდილება, რომელსაც ადამიანი ამ სამყაროდან გაქცევით იღებს და მნიშვნელოვანია ამ ბიზნესის მაყურებლის გაკეთილშობილებაზე ორიენტირება. მაგრამ რა შემიძლია ვთქვა ამის შესახებ, როცა ფილმები, რომლებიც ოცი წლის წინათ შეიძლება პირდაპირ დივიდიზე გამოსულიყო, და უბრალო, ერთჯერად ფილმებად ყოფილიყო აღქმული, დღეს მილიარდებს შოულობს და მსუყე ფან აუდიტორიაც ჰყავს.

საინტერესოა, როგორი იქნება კინოს მომავალი. ისევ მხოლოდ ზღაპრებით და უმცირესობების პრობლემების ვითომ წამოწევით გააგრძელებს მილიარდების შოვნას, თუ მართლა დაიბრუნებს იმ როლს, რაც თავის ოქროს ხანაში ჰქონდა. ეს უკანასკნელი სთრიმინგის ეპოქაში ნაკლებ სავარაუდოა. ჰო, მოლოდინებზე ვლაპარაკობდი და მათ გაცრუებაზე, რასაც ჰოლივუდი ნამდვილად სერიოზულად ეკიდება. სპეციალურად იღებენ კარგ ტრეილერებს და ცუდ ფილმებს. მერე რა, მაინც იყიდება.

თუმცა, კრისტოფერ ნოლანი მოლოდინებს ყოველთვის აჭარბებს. ის არც სიჯიაის (კომპიუტერით გენერირებადი გამოსახულება) იყენებს და არც ზუმ ლინზას, იყენებს პრაქტიკულ სპეციალურ ეფექტებს, პერფექციონისტურად უდგება ფილმის შექმნის პროცესს იდეიდან პრემიერამდე, და ეს მის ნამუშევრებში იგრძნობა კიდეც. ჰყავს რამდენიმე ადამიანი, რომლებთან ერთადაც ხშირად მუშაობს, მათ შორის მსახიობები (ტომ ჰარდი, კილიან მერფი, კრისტიან ბეილი), კომპოზიტორი (ჰანს ციმერი), ოპერატორი (ჰოიტე ვან ჰოიტემა), არ ფლობს სმარტფონს, სცენარს წერს კომპიუტერში, რომელსაც არ აქვს ინტერნეტი, პირადად ხვდება ადამიანებს, რომლებთანაც მუშაობას აპირებს (მაგალითად, ინტერსტელარში მსახიობად და კონსულტანტად მიწვეული ჰყავდა ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსი კიპ თორნი). ამ და ბევრი სხვა დეტალის გამო იგი უნიკალურობას ინარჩუნებს და კინოს ჭეშმარიტ მოყვარულად რჩება, რომლისთვისაც პროცესიც და შედეგიც თანაბრად მნიშვნელოვანია და მიდგომა მხოლოდ ნოლანისეული აქვს.

შეუძლებელია ცხოვრობდე დღეს და კრისტოფერ ნოლანის ერთი ფილმი ან ფილმიდან კადრი არ გქონდეს ნანახი და არ აღფრთოვანდე, არ იჭედება ჟანრში და ბევრ ექსპერიმენტს ატარებს, რომლებიც ხელოვნების ნიმუშებად იქცევა. საბედნიეროდ, ტარანტინოსავით არ აქვს განსაზღვრული ფილმების რაოდენობა, რომლებსაც გადაიღებს. კრისტოფერ ნოლანის ხელწერას კინოეკრანებზე კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ და დარწმუნებული ვარ, მისი კინოთი მიღებული სიამოვნება სხვაგვარი, თუმცა ისევ ისეთი ამაღელვებელი იქნება.

ონისე ქვაჩაკიძე

კრის მარკერის შემოქმედებითი ცხოვრება და მისი „უმზეონი“



კრის მარკერი დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც ცნობილია კრიტიკულ-პოლიტიკური ფილმების ფორმატით. მისი შემოქმედება ინსპირირებული იყო კინოავანგარდით. ის ითავსებდა ფოტოგრაფობასაც, იყო მულტიმედიური მხატვარიც, მწერალი, კინოესეისტი, რომელიც საკუთარ თავს უწოდებდა „უცნობი ფილმების ცნობილ ავტორს“, მას არ უყვარდა საჯაროობა, ინტერვიუებსაც მცირედ იძლეოდა, რადგან თვლიდა, რომ მასზე თავად მის ფილმებს უნდა ელაპარაკათ. შეიძლება რაღაც იდუმალსაც იძლეოდეს ეს მისი საერთო სურათი, რადგან ნამდვილი სახელი სულაც არ იყო კრის მარკერი და როცა ისმოდა კითხვა რატომ მაინცდამაინც ეს ფსევდონიმი, ასე ხსნიდა - „უბრალოდ, მსურდა არაფერთან კავშირში მყოფი, ყველა ეროვნების წარმომადგენლისთვის მარტივად წარმოსათქმელი ფსევდონიმი ამეღო, რომელიც ყველასთვის ადვილად დასამახსოვრებელი იქნებოდა“.

ფილმი „მზის გარეშე“ ჩემთვის იყო ქაოსური, აი ისეთი, როცა თავში ყველაფერი მოდის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩქარ-ჩქარა, უცბად ქრება, ახალი ჩნდება, როცა ვერ ასწრებ ერთზე კონცენტრირებას, როცა უბრალო კადრი შენთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ასე გაუჩერებლად, უსასრულოდ მიედინება ფილმის სიუჟეტი. კრის მარკერი ამ ფილმში გვთავაზობს ერთ მოსაზრებას: „მეხსიერება არ არის დავიწყების საწინააღმდეგო, უფრო არასწორი მხარეა, ისტორიის მსგავსად ის მუდმივად ხელახლა იწერება“. კრის მარკერმა მთელი ცხოვრება დაუთმო მეხსიერების, ისტორიისა და მოგზაურობის შესწავლას. „იმიტომ რომ ვიცი, დრო ყოველთვის დროდ რჩება და ადგილი მხოლოდ ადგილი არ არის“ ასე იწყება „უმზეონი“ და ჩნდება პირველი კადრი - სამი ბავშვი ხელჩაკიდებული, რომლებიც ერთ მხარეს მიდიან, შემდეგ სიშავე... ფილმშივეა ახსნა, რომ ეს კადრი ბედნიერების ასახვაა, თუმცა მაინცდამაინც ხალხი თუ ამას ვერ დაინახავს, დაინახავს მის შემდეგ სიშავეს. კრის მარკერზე ლაპარაკი ძნელია თუ მის შემოქმედებას თვალს არ გადავავლებთ. ფილმს უნდა უყურო დაკვირვებით, იმას ვგულისხმობ, რომ მხოლოდ მოსმენა არაეფექტურია, საინტერესოა კადრების შეხამება და სიტყვები, რომლებიც მას სდევს.

შეიძლება უცნაურია, თუმცა „უმზეონი“ რაღაც თავისებური სტილით, კულტურათა იდენტობებით, საინტერესო ჩვეულებებით მივამსგავსე „ძაღლურ სამყაროს“ (იტალიურ დოკუმენტურ ფილმს, ერთ-ერთი რეჟისორი იაკოპეტა). „უმზეონში“ ვხედავთ, როგორ პატივს სცემენ კატებს, ძაღლურ ცხოვრებაში კი - ძროხებს, ამავდროულად, როგორ ექცევიან ბატებს, ტახებს სულ რაღაც რიტუალის აღსრულების გამო. ჩემთვის ამ ორივე ფილმში ადამიანის ბუნება არის დახატული, თუ როგორი შეიძლება იყოს ის. ავტორთან ერთად ჩვენც ვმოგზაურობთ აფრიკიდან იაპონიაში და იაპონიიდან აფრიკაში. ვცდილობ ნაწყვეტების დაკავშირებას და ვხვდები რომ ფილმი ეწინააღმდეგება ახსნას, აქ არ გვიდევს უბრალო სიუჟეტი, არც უკიდურესად ერთი ადამიანის ამბავი, რომელიც საიდანღაც იწყება და მთავრდება... აქ მონაკვეთების მონაცვლეობაა - ქალი მთხრობელის ხმის ფონზე (რომელიც

➢ 6 გვ.

5 გვ.



კითხულობს კრის მარკერის ჩანაწერებს). ფილმი არ შეიცავს არანაირ დიალოგს გარდა დამატებითი ხმისა, მაგ. როგორიცაა რკინიგზის სადგურის აურზაურის, ბაზრობაზე მყიდველთა ყვირილის, საზარელი ფანტასტიკური ფილმების და სხვა. და როცა ამ ფილმის ყურება დავასრულე, დამეუფლა სევდა, რომ რაღაც მოგონებები რჩება მხოლოდ მოგონებად და ხშირად ჩემ თავში ყველაფერი არ იბეჭდება, შესაბამისად, მისი გახსენება მიჭირს ან საერთოდ არ შემიძლია. ფილმში ნახსენები იყო წელი, როდესაც ადამიანის ტვინი სრულიად დასაქმდება და მოგონებები შეინახება მექანიკურად ანუ არაფერი აღარ იქნება დავიწყებული. თუმცა, თუ ამას დადებითი კუთხით არ შევხედავთ, მივხვდებით, რომ ყველაფრის დამახსოვრება არც თუ ისე სახარბიელოა ადამიანისთვის. ვფიქრობ, „უმზეონი“ რთული ფსიქოლოგიური ფილმია, რომელსაც თან სდევს ლიტერატურული თხრობა, ძნელია კადრები ერთმანეთთან დააკავშირო და შენც გიწევს ავტორთან ერთად მოგზაურობა და იმ ბანალურ სცენებზე დაკვირვება, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

თინათინ პაიჭაძე

დიქტატორები და მათ მიერ შექმნილი რეჟიმები ეკრანზე

კინემატოგრაფია იდეალური და, ვფიქრობ, ყველაზე კარგი საშუალებაა, ილაპარაკო ისეთ თემებზე, რომლებიც საყურადღებოა. გადმოსცე ქვეყნის, საზოგადოების, ან თუნდაც რამდენიმე ადამიანის სათქმელი და წვლილი შეიტანო სინამდვილის გამოვლენაში. სიმართლის მოსმენა ყველა ადამიანს უჭირს და ეს ნათელია, ჩვენი ქვეყნის მწერლებს ტალახს ესროდნენ ჭეშმარიტების სააშკარაოზე გამოტანისას, თუმცა სწორედ ეს არის დასაფასებელი, ისაუბრო ტაბუირებულ თემებზე, არ აარიდო თვალი სოციალურ, ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ პრობლემებს და ვისაც როგორ შეუძლი,ა ისე დაუპირისპირდეს უსამართლობას, ტყუილს, ბოროტებასა და დიქტატურას. კინემატოგრაფია ბევრი საგნის პროპაგანდა გამხდარა, აქედან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს როგორც მაყურებლის, ასევე კრიტიკის ორი მხარე, რომელიც ფილმს შეაქებს ან განკიცხავს. ეს საკმაოდ ჯანსაღი და სწორია - ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანი, რაც არ უნდა იზღუდებოდეს. დიქტატორების ეკრანზე გამოჩენა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გვხვდება, რითიც ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რომლითაც კინემატოგრაფისტები მუდამ იყვნენ დაინტერესებულნი. ვინ როგორ გამოხატა საკუთარი აზრი, რამდენად სწორად ასახა კონკრეტული რეჟიმი, გაბედა ამ მძიმე თემასთან შეხება და ხმის ამოღება, სწორედ ამას განვიხილავ მე.

ვფიქრობ, ყველას, სიტყვა დიქტატორზე პირველი ადამიანი, ვინც გვახსენდება, არის ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის ფიურერი და ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის ლიდერი. მისი მმართველობის სისხლიანი წლები, მილიონობით შეწირული სიცოცხლე, მის მიერ მოწყობილი ჰოლოკოსტი, ეს და კიდევ მრავალი სხვა არის ის, რაც ჰიტლერს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცივსისხლიან პიროვნებად აქცევს. მასზე ათასობით ფილმი გადაღებულა და იმასაც აღვნიშნავ, რომ მიუხედავად თითქმის ერთი საუკუნის გასვლისა, დღემდე გრძელდება ამ თემასთან დაკავში-

7 გვ.

6 გვ.

რებით, როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური კინოსურათების გადაღება. საუბარს დავიწყებ გენიალური ჩარლი ჩაპლინის ფილმით „დიდი დიქტატორი“, რომელიც ნაციზმის და ჰიტლერის დაცინვის პირველი მცდელობაა კინოისტორიაში. ჩაპლინმა სატირულად წარმოადგინა ადოლფ ჰიტლერი და გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები. რა თქმა უნდა, ეს ფილმი აკრძალული იყო გერმანიასა და იტალიაში. ჩარლიმ ფიურერს პირადად გაუგზავნა კინოსურათის ასლი, მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტური წრეების წარმომადგენლები უარყოფდნენ ჰიტლერის მიერ ფილმის ნახვის ფაქტს, არსებობს მონაცემები, რომ ადოლფმა ის ორჯერ ნახა. რა თქმა უნდა, ფილმს მოჰყვა მითქმა-მოთქმა, გაიყო როგორც კრიტიკოსების, ასევე საზოგადოების აზრი. კრიტიკოსების ნაწილმა ფილმი შეაქო და აღნიშნეს მისი სითამამე. მართლაც, ჩარლიმ ეს ნამუშევარი შექმნა და პრემიერა მოაწყო 1940 წელს, მაშინ, როდესაც ჰიტლერის დიქტატურა მძვინვარებდა. ასეთ დროს მსგავსი ფილმის გადაღება უდავოდ გამბედაობას მოითხოვდა, მითუმეტეს, რომ ჰიტლერი ჩარლის ებრაელად მოიხსენიებდა, მიუხედავად მისი ინგლისური წარმომავლობისა. ამ ნამუშევარში თვალსაჩინოა, რომ ჩარლიმ, როგორც კინორეჟისორმა, მთელი ფოკუსი გადაიტანა გლობალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე. კრიტიკის მეორე მხარემ ჩარლის კომუნისტური განწყობა დააბრალა, მასზე წერდნენ, რომ ის არა კომიკოსი და ხელოვანი, არამედ სერიოზული პროპაგანდისტი იყო. ჩარლის აქტიურად უპირისპირდებოდნენ და ზეწოლას ახდენდნენ მასზე, ყოველივე ამას ხელოვანი ასე პასუხობდა, რომ ის, არა კომუნისტი, არამედ უბრალოდ ადამიანი იყო, რომელსაც სურდა, ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა, ენახა დემოკრატია და თავისუფლება ეშმაკისეული „ახლებური წესრიგისგან“. „დიდი დიქტატორი“ არის გენიალური სატირა, გადმოცემული გროტესკითა და შარჟით. კინოსურათი გამოვიდა საბრალდებო აქტი, ბოროტების წინააღმდეგ.

გარდა დიქტატორებისა, მინდა შევეხო ზოგადად ქვეყანაში არსებულ კრიზისს და გაბატონებულ სისტემას, რომლის მსხვერპლიც ხდება საზოგადოება. ორად გახლეჩილი ქვეყანა კი ერთმანეთს უპირისპირდება და ადამიანური ფასეულობებიც იკარგება. სწორედ ამ ვითარებას აღწერს ფლორიან ჰენკელ ფონ დონერსმარკის ფილმი „სხვების ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია ჯაშუშის თვალით დანახული სხვა ადამიანების ცხოვრების შესახებ. 1984 წლის მოვლენები ვითარდება, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც სახელმწიფოებრივი წყობა მკაცრ კონტროლს ითხოვს ადამიანებზე. ამ სისტე-

8 გვ.

7 გვ.

მის მთავარი მიზანიც ეს არის - ტერორი, ხალხზე ძალაუფლება, მკაცრი კონტროლი და თავისუფ-

ლების მინიმუმამდე დაყვანა. კაპიტანი ვიზლერის მოვალეობაა დააკვირდეს სხვების ცხოვრებას, მოუსმინოს, იცოდეს მათზე ყველაფერი, დაარღვიოს მათი პირადი სივრცე და შეიჭრას მათ ცხოვრებაში. სწორედ მაშინ, როდესაც ვიზლერი სხვების ცხოვრების ნაწილი ხდება და სრულად იაზრებს გამეფებულ ვითარებას, ნათელი ხდება, რომ ის თავის ცხოვრებაში არ არის გარკვეული, არ აქვს გაცნობიერებული, რა რეჟიმში უწევს ცხოვრება, რისი წევრია, რას აკეთებს და ვის ემსახურება. ფილმი ეხება ორ გერმანიას - გფრ და გდრ, ორ ძალას, მკაცრ რეჟიმს დაქვემდებარებულ მედროვე საზოგადოებას, რომელიც აუტანელ პირობებში თავს იმკვიდრებენ. ადამიანები, რომლებიც საკუთარ ჯანსაღ აზრს ყველაფერზე მაღლა აყენებენ, ცდილობენ ჭეშმარიტების გავრცელებას და ქვეყნის ამოყვანას იმ ჭაობიდან, რომელიც ღრმადაა ჩაძირული და ამისათვის ყველაფერზე მიდიან, საკუთარ სიცოცხლესაც კი აგდებენ საფრთხის ქვეშ. რეჟისორმა ფილმით უჩვენა, რომ შესაძლებელია სიკეთე და ადამიანობა დაუპირისპირდეს ბოროტ სისტემას, რომ დღის ბოლოს მთავარი ჰუმანურობა და ურთიერთგაგებაა, თავისუფლება და ადამიანური სიყვარული. ტოტალიტარიზმის დროსაც კი შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის კეთილი ნება, წავიდეს არსებული იდეოლოგიის წინააღმდეგ და დაუპირისპირდეს სისტემას, თუნდაც საკუთარ თავში, მოკლას ის და ერთი ადამიანით მეტი შემატოს იმ საზოგადოებას, რომელიც არ კარგავს ადამიანობას და ღირსებას.

კევინ მაკდონალდმაც ფილმში „შოტლანდიის უკანასკნელი მეფე“ დიქტატორის სახე აჩვენა. კინოსურათი შეიცავს შემზარავ სცენებს, მათ შორის ადამიანების წამების, რომლებიც ასახავს განუმეორებელ დეტალებს, თუ რა ემართება ადამიანს, ვინც ამინს ღალატობს. ფილმში ისტორიული სინამდვილეა აღწერილი, თუმცა არის ცდომილებები, რაც რეჟისორს არ აინტერესებს. დეტალები დაუზუსტებელია, თუმცა მთავარი ამ ფილმში არის ისტორიის გადმოცემა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლის წინ ხდებოდა. იდი ამინი უგანდის პრეზიდენტი იყო, აფრიკის ყველაზე მკაცრი ტოტალიტარული რეჟიმის დამაარსებელი. შეფასებების თანახმად, მის რეჟიმს 500 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, 2000 მათგანი კი საკუთარი ხელით ჰყავს მოკლული. ის 2003 წელს გარდაიცვალა, ხოლო ფილმი გადაიღეს 2006 წელს. კრიტიკოსებმა ფილმი დადებითად შეაფასეს. მათ შორის აღსანიშნავი გახდა დიქტატორის როლის შემსრულებელი, რომელმაც ოსკარი დაიმსახურა. როგორც უკვე ვახსენე, ბიოგრაფიულ ფილმში ყველაფერი ისტორიული სიზუსტით არ არის გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ იდი ამინის პერსონაჟი და მის გარშემო მომხდარი ზოგიერთი მოვლენა ფილმში ძირითადად ფაქტებზეა დაფუძნებული, გარიგანი გამოგონილი პერსონაჟია. პერსონაჟ გარიგანის შექმნაში წვლილი შეიტანა ინგლისში დაბადებულმა ბობ ასთლზიმ, რომელიც მუშაობდა ამინთან.

9 გვ.

8 გვ.

თენგიზ აბულაძის ფილმში „მონანიება" გამოიხატა ეპოქა, რომელიც საქართველოს ახლო წარსულს მოიაზრებს. ფილმს საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი: ისტორია, თუ როგორ ამოთხარა ახალგაზრდა ბიჭმა გარდაცვლილი პროკურორის ცხედარი და ჭირისუფალს ცხედარი უკან მიუტანა. ბიჭის მამა გულაგში გადაასახლეს, დედამ კი, კაგებეს თანამშრომლისგან შერცხვენილმა და გაუბედურებულმა, თავი მოიკლა. ბიჭი არის სახე იმ საზოგადოებისა, რომლის ცხოვრებაც გაამწარა არსებულმა რეჟიმმა. ფილმის სცენარზე მუშაობა 1979 წელს დაიწყო. თენგიზ აბულაძე ფილმზე მუშაობისას ტელეფონს ქსელიდან თიშავდა, რადგან შიშობდა, რომ შეიძლებოდა მათი საუბარი ვინმეს მოესმინა (ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია, რომ ჩემ მიერ ნახსენები ფილმი „სხვების ცხოვრება" საზოგადო ტრაგედიას ეხება, რომელიც ბევრ სახელმწიფოში იჩენს თავს, მათ შორის ჩვენთან და მათ შორის ახლაც), ამას კი რა მოყვებოდა, არავინ იცოდა. ფილმს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, გავრცელდა ჭორი, რომ თენგიზ აბულაძეს დაიჭერდნენ. ფილმის სცენარის ხელში ჩასაგდებად კაგებე მუშაობდა. იმისათვის, რომ ფილმი გადაეღოთ და ამაში პრობლემა არ შექმნილიყო, გადაღებები დაიწყეს ტელევიზიის ბაზაზე საქართველოს ბიუჯეტით, ტელევიზიას ჰქონდა დამოუკიდებელი 2 საათი, რომელსაც მოსკოვი არ აფინანსებდა და სწორედ ეს დრო გამოიყენეს. „მონანიება" ტელეფილმად გაფორმეს. თენგიზ აბულაძე დიდხანს ატარეს პარტიულ დაკითხვებზე, თუმცა საბოლოოდ ფილმმა ეკრანებზე გასვლა მოახერხა და გაიბრწყინა. „მონანიება" ყოფილ საბჭოთა კავშირში განხორციელებული ცვლილებების სიმბოლოდ იქცა.

ეს მცირე ჩამონათვალია იმ ფილმებისა, სადაც გადმოიცა დიქტატორების და მათ მიერ შექმნილი სასტიკი რეჟიმის წლები და შედეგები, ეს კი საზოგადოებას მკვეთრად ეხება. სამწუხარო რეალობაა, რომ მსგავს კინოსურათებში და ასახულ რეჟიმში შეიძლება ხშირად დავინახოთ რაიმე საერთო დღევანდელობასთან, არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებმა. ჩემს მიერ ნახსენები დიქტატორები დღესდღეობით აღარ არსებობენ, თუმცა მათი რეჟიმის კვალი ზოგ ქვეყანაში მაინც დარჩა, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვერავინ დაივიწყებს იმ სისასტიკეს, რაც გერმანელებმა მოაწყვეს. ჩვენს სამშობლოში კი საქართველო-რუსეთის კავშირი კვლავ აქტუალურია, დღემდე არსებობს ძველი რეჟიმისგან გამწარებული ხალხი, ან მათი ოჯახები. ანდაც ისეთი საზოგადოება, რომელსაც ის დრო ერჩივნა და დიდი მონატრებით იხსენებს. ერთი რამ ნათელია, არასდროს უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორია, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ფაქტების. კინემატოგრაფია კი შესანიშნავი საშუალებაა იმისა, დაგვანახოს რა ხდება ან რა ხდებოდა ჩვენს თავს. ეს არის სარკე, რომელიც იმაზე კარგად გვიჩვენებს რეალობას, ვიდრე ჩვენი თვალები, რადგან რეალობას ხშირად მალავენ და სხვაგვარად გვანახებენ, ხოლო არსებობენ კინორეჟისორები, რომლებიც ამ ტაბუირებულ თემებზე ღიად საუბრობენ და მძიმე თემები და ემოციური საკითხები პირდაპირ სააშკარაოზე გამოაქვთ.

ნინო ჩირგაძე

ლუსტრი

ადამიანად ყოფნის სევდა

„რაც ყოფილა იგივე იქნება, რაც მომხდარა იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

ცოცხალი ადამიანისთვის ყველაზე რთული გარდაცვალებაზე ფიქრი უნდა იყოს, იმქვეყნიური საგზლის მომზადება უნდა უჭირდეს. ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავს, ვერ და არ უნდა თხრიდეს საკუთარ სამარეს, თუმცა, როგორც ჩანს, „მარტოკაცობამ“ ესეც შეაძლებინა ადამიანს.

რთულია გაარკვიო, რომელი უფრო მძიმეა, „ადამიანად ყოფნის სევდა“ თუ „ადამიანად არ ყოფნის სევდა“. საინტერესოა, როგორ შეიძლება არსებობამაც და არ არსებობამაც ერთნაირი ტკივილი მოიტანოს, როგორ შეიძლება, რომ ცოცხალი მკვდრად დაიარებოდეს. ვფიქრობ, სწორედ ამის ჩვენება უნდოდა გიორგი არაბულს თავის პოემაში - „ალდი“.

პოემა არ გამოირჩევა პერსონაჟთა მრავალფეროვნებით, მასში ვერ შეეხვდებით მოქმედებათა ფართო არეალს, მრავალფეროვან ტოპონიმებსა თუ ანთროპონიმებს, თუმცა, პოემა სავსეა იდეებითა და კონცეფციებით, რომლებსაც ავტორის მიერ ალდის ცხოვრების ერთი პატარა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთის ჩვენება აყალიბებს.

ალდი არ არის მხოლოდ ერთი ადამიანი, ალდი ისტორიაა, ალდი იმ ადამიანთა სახეა, რომელთაც ამ დარდითა და ტკივილით უცხოვრიათ საუკუნეების მანძილზე, ალდია ის, ვინც დღესაც მსგავსი ფიქრითა და სევდით სავსე დადის საქართველოს მთებში, სოფლებში და ლოცავს მათ, ვინც მის შემდეგ გაივლის ამ ნაკვალევზე.

შიში ვერასდროს იქნება გამოგონილი, მას ყოველთვის ახლავს რეალური საფუძველი, გააჩნია ან ისტორია, ან აწმყო, ან შესაძლო მომავალი. ალდის შიშს სამივე მათგანი უდევს საფუძვლად. უწინ, როცა სოფლები ჯერაც სავსე იყო, სადღაც მაინც არსებობდა კაცი, რომლის სახლიდანაც ერთადერთი მბჟუტავი სინათლე მოჩანდა და ახლაც, 21-ე საუკუნეშიც ვხვდებით ნასახლარებს, რომელთა უკანასკნელი მკვიდრნიც სულ ცოტახნის წინ მიბარებიან საფლავებს და რადგან ამ ქვეყნად არაფერი ხდება ერთხელ, მომავალიც იმავეს უქადის ალდის.

პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას მარტოობის ესთეტიკა იპყრობს. მარტოობა, რომელსაც ალდის ირგვლივ დაუსადგურებია, მარტოობა, რომელიც არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი სიცარიელის საწყისად ქცეულა. ავტორის თვალით დანახული სიცარიელე არ არის მხოლოდ დამთრგუნველი ან სამწუხარო, სურათი, რომელსაც იგი ხატავს, შემზარავია. იგი მკითხველის თვალწინ აცოცხლებს საუკუნეების წინათ არსებულ ხევსურეთს, მის სოფლებს, აცოცხლეს აწმყოს და მომავალს, რომელიც კიდევ უფრო დიდი მწუხარებითა და სევდითაა სავსე.

ალდის ცხოვრებას ყველაზე უფრო საინტერესოს და დრამატულს ხდის ის პასუხისმგებლობა, რომელიც წუთისოფელს მისთვის დაუკისრებია. ავტორი ამბობს, რომ როდესაც ალდი დაიბადა, სწორედ მაშინ დაიბადა სოფელიც და ამ სიტყვებით ვხვდებით - ავტორი წინ წევს ადამიანის არსებობის კონცეფციას და მას „შემქმნელს“ უტოლებს. სწორედ ამის პარალელურად ავტორი გვიხატავს იმ მძიმე რეალობას, რომელსაც უკანასკნელი ადამიანის არსებობა ჰქვია. თუკი ალდი მოკვდება, მაშინ მოკვდება სოფელიც.

ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის შეგრძნებებია, რომელთაც შეუძლიათ თავი ცოცხლად გვაგრძნობინონ. სიცოცხლეს სწორედ ურთიერთობები განსაზღვრავს, რომლებიც ზოგჯერ ბედნიერების, ზოგჯერ კი უბედურების მიზეზნი ხდებიან. სწორედ ამ ურთიერთობების არარსებობამ, სიჩუმემ დაბადა ალდიში სიკვდილზე ფიქრი, რადგან იცის, რომ არც მოყვასის გარეშეა იგი ცოცხალი და ვერც მტრის გარეშე იარსებებს ადამიანად.

როდესაც ნაწარმოებს ვკითხულობთ, შესაძლოა დაგვებადოს აზრი იმის შესახებ, რომ გიორგი არაბული ჩვენგან დაშორებულ, საკმაოდ ღრმა წარსულზე გვიამბობს. დროზე, როდესაც მთაში ჯერ კიდევ ამ ენით საუბრობდნენ, როდესაც წესებსა და კანონებს ასე იცავდნენ, როდესაც ღირსებას და მორალს მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა, თუკი დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ავტორი გვიხატავს ყველაზე ახლო და თანამედროვე რეალობას, რომელიც დღესაც მთის განუყოფელ ნაწილად გვევლინება. პოემის მთავარი ღირებულებაც სწორედ ისაა, რომ იგი რეალურია, რეალურია იმ საფიქრალითა და პრობლემატიკით, რომელიც ერთი პერსონაჟის ირგვლივ ტრიალებს, თუმცა დღეს, თანამედროვე საზოგადოება სავსეა ასეთი პერსონაჟების პროტოტიპებით.

ჩვენმა საუკუნემ ადამიანს ბევრად უფრო დიდი ტვირთი დააკისრა, ვიდრე მხოლოდ ადამიანად ყოფნაა. ადამიანის სიცოცხლეზე და dis გადაწყვეტილებზეა დამოკიდებული იმ ადგილების არსებობა, რომლebიც უწინ ჩვენს წინაპრებს უშენებიათ, ადგილების, რომლებიც ჩვენს წარსულს და ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიას ინახავენ, ადგილების, რომლებიც უტყვი არიან, თუმცა მომსწრე ყველაფრისა.

საფიქრალიც და პასუხისმგებლობაც ბევრად მეტი აქვთ მათ, ვის შესახებაც საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის, თუმცა სადღაც, რომელიღაც მივიწყებულ სოფელში დღესაც არსებობენ „მარტოკაცები“, რომლებიც ინახავენ იმ წარსულს, რომლითაც ასე ამაყობს ქართველი ხალხი და ცხოვრობენ იმ ცხოვრებით, რასაც ნამდვილ „ადამიანად ყოფნის სევდა“ ჰქვია.

მარიამ ფირცხალავა

გამომცემლობა „კენტავრი“, აღმაშენებლის გამზ. 40; ტელ: 2 999 411 (240); www. tafu.edu.ge